პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 178 (3662)

10 1968 წ. სექტემბერი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

კონტრშეტევების წყალობით

მოსკოვი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 8 სექტემბერი.

„ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) 0:3 (0:2).

„ლოკომოტივი“: ფროლოვი, ყიტკუსი (მარგანი), როდიონოვი, ზაიცევი, დიკარევი, ბასალაევი, ინოგამოვი, კობი, პეტროვი, შელუდკო, ტარუშნიკოვი (ატამალიანი).

„დინამო“: ურუშაძე, ძოძუაშვილი, ხურცილავა, კანთელაძე, პეტრიაშვილი, ასათიანი (რეხვიაშვილი), ილიადი, მაჩაიძე, მეტრეველი, გ. ნოდია (ყუტიკაძე), გავაშელი.

მსაჯი ი. კაჩარი (კიევი).

დუბლიორები — 2:0 მოსკოველთა სასარგებლოდ.

პირველი საგოლე მომენტი ამ ეტაპზე მე-4 წუთზე შეიქმნა. ძოძუაშვილმა კარგად აუარა გვერდის მომდინარე მცველს და ბურთი ჩაუგდო იქ, სადაც ორივე გუნდის ფეხბურთელები იყვნენ თავმოყრილნი. როდიონოვმა უკანასკნელ წამს ფეხსწრო ბურთს და ცარიელი კარიდან გამოიტანა იგი. 2 წუთის შემდეგ ანალოგიური რეიდი წამოიწყო ასათიანმა. მანაც ოსტატურად აუარა გვერდი რკინიგზელთა მცველებს და გარღვევაზე გაიყვანა ხელი. თბილისელ ფორვარდს ბიოქეებმა გზა გადაუკრეს. ნოდიამ წონასწორობა დაკარგა და ფეხებულმა ძლიერად დაარტყა ბურთს. მეკარე ფროლოვი ამ დროს წინ იყო გამოსული და მას, მხოლოდ თვალი გააყოლა კარისკენ მიმავალ ბურთს — 1:0.

ამ წარუმატებლობას მასპინძლებმა მწვავე შეტევებით უპასუხეს. დაახლოებით 10 წუთის ძანძილზე ისინი არ მოშორებიან თბილისელთა საჯარიმო მოედანს. ამ კრიტიკულ მომენტში კარგად ითამაშა თბილისელთა დაცვამ და მეკარე ურუშაძემ. თანდათანობით, მასპინძლების შეტევებმა სიმძაფრე დაკარგეს და თბილისელებს კონტრშეტევების საშუალება მიეცათ. სწორედ ასეთი კონტრშეტევის დროს, მე-17 წუთზე, მეტრეველმა ოსტატურად ჩააწოდა ბურთი გავაშელს და მან თავური დარტყმით ანგარიში ორამდე გაზარდა.

მეორე ნახევარში მასპინძლებმა გააძლიერეს თავდასხმა: ორეშნიკოვის ნაცვლად შემოვიდა ატამალიანი. რკინიგზელებმა თბილისელთა კარის ხანგრძლივი შტურმი წამოიწყეს, მაგრამ ეს შტურმი სტაქიური გახლდათ. გაცილებით უფრო მწვავე და საინტერესო იყო დინამოელთა კონტრშეტევები. შუხვედრის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე მეტრეველმა და ძოძუაშვილმა გაითამაშეს კუთხური, ბურთი მიიღო უმეთვალყურეოდ დარჩენილმა გავაშელმა და კვლავ ზუსტი თავური დარტყმით კარში გაგზავნა.

თ. ჭიჭინაძე.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

„ა“ ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

ძირითადი მდგომარეობა				შემადგენლობანი 10 სექტემბრისთვის			
	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	
„დინამო“ (კიევი)	28	17	9	2	43—17	43	
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	26	16	5	5	44—27	37	
„ტორპედო“ (მოსკოვი)	26	12	10	4	40—21	34	
ცსკა	26	13	7	6	34—21	33	
„დინამო“ (მინსკი)	26	12	8	6	29—21	32	
„დინამო“ (თბილისი)	26	11	9	6	32—16	31	
„დინამო“ (მოსკოვი)	28	12	7	9	36—27	31	
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	26	10	10	6	27—23	30	
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	26	10	9	7	36—31	29	
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	26	7	11	8	23—32	25	
„შახტიორი“ (დონეცკი)	26	7	10	9	26—26	24	
ასკ (როსტოვი)	26	8	7	11	33—36	23	
„კარ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	26	7	9	10	17—20	23	
„ნეფტჩი“ (ბაქო)	26	7	8	11	24—34	22	
„ზარია“ (ლუგანსკი)	27	7	8	12	15—32	22	
„არარატი“ (ერევანი)	26	7	5	14	24—37	19	
„ტორპედო“ (ქუთაისი)	27	5	8	14	20—32	18	
„ქაირატი“ (ალმა-ათა)	26	5	7	14	17—31	17	
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	26	5	7	14	26—47	17	
„დინამო“ (ყოროვაბადი)	26	4	8	14	15—30	16	

ბურთი...

მოსკოვში გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ყალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკი“ და ერევნის „არარატი“. მატჩი დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით — 3:1.

პირველი ეტაპის შემდეგ

თბილისში დამთავრდა წყალბურთში „ა“ კლასის საგზურის მაძიებელთა შეხვედრები ტურნირის I ეტაპი. როგორც ვიტყობინებოდით, თბილისის „ბურევესტნიკმა“ (პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი) გასულ წელს ბოლო ტურამდე გაიხადა, ამიტომაც გუშინ „ვოდნიკთან“ შეხვედრაში ისინი შედარებით ინერტულად თამაშობდნენ. მათი გამოსვლა ამჯერად წვრთნას უფრო ჰგავდა, ვიდრე ორი ჭულისთვის ბრძოლა. ამის მიუხედავად, გუშინ სპორტსმენებმა მაინც წააგეს — 2:7. ბოლო ტურში კიევის „ბურევესტნიკმა“ ძნელ ბრძოლაში დაამარცხა ბაკინელი თანაკლუბელები — 4:3, ხოლო ლენინგრადის კოლექტივმა ეგზ ტაშკენტის სტუდენტთა გუნდს — 3:0. ლენინგრადელებმა მოგება 2 ჭულა აიღეს ალმა-ათის „ბურევესტნიკთან“ ადრე გაროტესტებულ შეხვედრაში — 4:2.

გათამაშების საბოლოო ცხრილი ასეთია

		თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ბურევესტნიკი“	(თბილისი)	5	5	0	0	32:20	10
„ბურევესტნიკი“	(ლენინგრადი)	5	4	0	1	33:14	8
„ბურევესტნიკი“	(კიევი)	5	3	0	2	31:20	6
„ბურევესტნიკი“	(ტაშკენტი)	5	2	0	3	27:19	4
„ბურევესტნიკი“	(ალმა-ათა)	5	1	0	4	19:21	2
„ვოდნიკი“	(გომელი)	5	0	0	5	8:56	0

ამრიგად, ოთხი უძლიერესი ნოემბრის დამლევს „ა“ კლასის ოთხ ფინალურ ერთად გაითამაშებს შეჯიბრების მეორე ეტაპს, რომელიც უნდა გასცეს უმაღლეს ლიგაში გადასვლის ოთხი საგზური.

ვ. ბარნაბიშვილი,

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ყოველკვირეული საათი...

◆ **ვარშავა, 9 სექტემბერი.** იტალიის ამ ქალაქში გამართულ ევროსიპედიტთა შეჯიბრებაში დამყარდა მსოფლიო რეკორდი. მისი ავტორია ახალგაზრდა სპორტსმენი გოგონა ბ. ტარტანი. მან 3 კმ-ს გაიარა 4 წუთი და 10.8 წამი მოანდომა და 4.1 წამით გააუმჯობესა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის, ინგლისელ ბ. ბარტონის მსოფლიო მიღწევა.

◆ **ჰელსინკი, 9 სექტემბერი.** ფინეთის დედაქალაქის „ყინულის სასახლეში“ შედგა ჰოკეისტთა საერთაშორისო მატჩი. ადგილობრივმა გუნდმა ხიფკ-მ მიიღო სსრ კავშირის ჩემპიონი ცსკა. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 12:3.

◆ **ლენინგრადი, 9 სექტემბერი.** ადგილობრივ გაზეთ „ვეჩერნი ლენინგრადის“ პრიზზე გამართული მარათონელთა შეჯიბრება მოიგო 30 წლის ულიანოვსკელმა სპორტსმენმა მ. გორელოვმა. იგი 30 კმ-ს გავლას 1 საათი, 33 წუთი და 8 წამი მოუნდა.

◆ **კალუშა, 9 სექტემბერი.** აქ შედგა კ. ციოლკოვსკისადმი მიძღვნილი ტრადიციული მოტოკროსი. I ადგილი მოიპოვეს ცსკა-ს მოტოციკლისტებმა.

◆ **მოსკოვი, 9 სექტემბერი.** ურაოს ტყორცნაში ოლიმპიური ჩემპიონი რ. კლიმი მონაწილეობდა მოსკოვში გამართულ ასპარეზობაში. მან 5 ტყორცნა განახორციელა და ხუთივეჯერ ურო 71 მეტრს იქით დაეცა. კლიმის საუკეთესო შედეგი 72,44 მეტრს უდრიდა.

დაწინაურდა სპასკი

კიევი, 9 სექტემბერი. გუშინ ოქტომბრის კულტურის სასახლის კინოსალექციო დარბაზში შედგა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ბ. სპასკისა—ვ. კორჩნოის ფინალური მატჩის II პარტია.

პრემიერამ, მოკლემეტრაჟიანმა უაიმმა I პარტიაში, მხოლოდ „გააღიზიანა“ მაყურებელი. გასულ კვირას დარბაზში ტევა არ იყო. მატჩის ორგანიზატორები იძულებული შეიქნენ სასახლის წინ სადემონსტრაციო დაფა დაედგათ.

მეტოქეებმა გაითამაშეს ლაზიერის გამბიტის ის გაცვლითი ვარიანტი, რომელიც ცნობილია მსოფლიო პირველობაზე მ. ბოტვინიკისა და ტ. პეტროსიანის მატჩის პარტიებიდან.

მე-11 სვლისთვის კორჩნოის უფრო პერსპექტიული პოზიცია ჰქონდა, რაკი შავი მეფის დალაშქვრა შეეძლო. კორჩნოომ დაიწყო იერიში, მაგრამ სპასკომ მე-19 სვლაზე გონებამახვილი კონტრდარტყმით უპასუხა და კორჩნოი ჩააფიქრა.

პოზიცია გამწვავდა, კორჩნოი კი ცაიტნოტში იყო. სპასკომ მოხერხებულად ისარგებლა მომენტით და მეტოქე ძნელი ამოცანების წინაშე დააყენა. კორჩნოომ ვერ გაართვა თავი პოზიციას, დაუშვა შეცდომები და 42-ე სვლაზე საათი გაიჩერა დანებების ნიშნად.

ამრიგად, დაწინაურდა სპასკი — 1,5:0,5. 10 სექტემბერს შედგება III პარტია.

ასე დაიწყო

სპასკი — კორჩნოი

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. ♘f3 ♘c6 3. ♗b5 a6 4. ♗a4 ♘f6 5. 0—0 ♗e7 6. ♖e1 b5 7. ♗b3 d6 8. c3 0—0 9. h3 ♘a5 10. ♗c2 c5 11. d4 ♕c7 12. ♘bd2.

ეს პოზიცია, ესპანურ პარტიაში მ. ჩიგორინის სისტემის დასკვნითი მდგომარეობა, კარგადაა ცნობილი თეორიაში. იგი რთულ სტრატეგიულ თამაშს წარმოშობს. თეორები კარგა ხანს ინარჩუნებენ ინიციატივას.

კორჩნოის უყვარს სიცილიური დაცვის თამაში, მაგრამ ამჯერად თავი აარიდა მას, შეიძლება ვერ მიაგნო ეფექტურ თამაშს დახურული სისტემის წინააღმდეგ, რომელსაც წარმატებით იყენებს ხოლმე სპასკი, ან რაიმე აქვს მოფიქრებული, მაგრამ ხელსაყრელ მომენტისთვის ინახავს.

12. ... ♘c6 13. d5.

როგორც ჩანს, კორჩნოომ მატჩისთვის მზადებისას გადაწყვიტა ჩიგორინის სისტემის გამოყენება და დაცვის ახალი გეგმა შეიმუშავა, ამიტომ მე-12 სვლით მიუუალი დაცვა ააგო. სპასკომ ცენტრი ჩაკეტა მეფეზე იერიშის მოლების იმედით. კორჩნოი ალბათ მოელოდა ამას.

13. ... ♘d8 14. a4 ♗b8 15. ab ab 16. b4 ♘b7.

ლაზიერის ფრთაზე ხაზის გახსნით, სპასკის მეფეზე ლაშქრის დაძვრამდე სურდა შავების შესაძლო კონტრთამაშის ჩახშობა. ახლა რომ კორჩნოის 16. ... c4 ეთამაშა, სპასკი შეტევას დაიწყებდა.

აქ კორჩნოომ 42 წუთი იფიქრა და სწორად განსვრიტა: თუ იგი ბაიკთა დაძაბულ ურთიერთობას შეინარჩუნებს, სპასკის იერიში არ ექნება.

სპასკი ცდილობს მუქარების შექმნას, მაგრამ ამაოდ. კორჩნოი მეთოდურად ამაგრებს პოზიციას.

17. ♘f1 ♗d7 18. ♗d2 ♗a8 19. ♘e3 ♗fc8 20. ♘ef2 ♗:a1 21. ♖:a1 ♖d8 22. ♖a7.

სპასკის ყაიმი რომ არ სდომოდა, ლაზიერით არ ითამაშებდა. შავების პოზიცია კარგადაა დაცული. რა თქმა უნდა, სპასკის შეეძლო იერიშის დაწყება, მაგრამ ეს მრავალი რთული ამოცანის გადაჭრას მოითხოვდა და პირველივე შეხვედრაში მშვიდობა ამჯობინა.

22. ... ♖a8 23. ♖:b7 ♗b8 24. ♖a7.

კორჩნოის წინადადებით მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ახალი ჯგუფი

● **ტალინი, 7 სექტემბერი.** აქ დამთავრდა თანამედროვე ხუთჭიდაობის საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც ასპარეზობდნენ გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, რსფსრ-სა და ესტონეთის ნაკრები გუნდები. გაიმარჯვა ესტონეთის გუნდის ვეტერანმა კ. ლიიგმა — 4940 ქულა. II ადგილზე გავიდა თანაგუნდელი ა.ტამისტი — 4861. III ადგილი წილად ხვდა სტუდენტ — გერმანელ მ. გროსეს — 4841.

● **სოფია, 7 სექტემბერი.** ბულგარელ იუნიორ ძალოსანთა პირველობაში მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა 20 წლის რ. ფლოროვმა 395 კგ (122,5+122,5+150). ეს 12,5 კგ-ით სჯობს იაპონელ ოუტის ნაწილელ რეკორდს.

● **ქლუშა, 8 სექტემბერი.** აქ დამთავრდა ევროპის II ჩემპიონატი წყალბურთში. უკანასკნელი ოქროს მედლები გაითამაშეს წყალქვეშ კურსის ოლიმპიადა და ორიენტირებით მოცურავეებმა. წყალქვეშა ორიენტირებაში ევროპის ჩემპიონი გახდა ე. რაიტცევი (გდრ). II ადგილზე გავიდა უნგრელი ბ. ლაგი. III ადგილი წილად ხვდა საბჭოთა სპორტსმენს ს. მენშიკოვს. ევროპის ჩემპიონი გახდა ბ. პოპოვი. II ადგილზეც საბჭოთა სპორტსმენი ი. კომაროვი. III ადგილზეა გდრ-ის წარმომადგენელი დ. მაიერი. საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებმაც 24 გათამაშებული მედლიდან 20 მოიპოვეს, მათ შორის 7 ოქროსია, ამდენივე ვერცხლისა, ხოლო 6 — ბრინჯაოსი. საინტერესოა, რომ შეჯიბრების სპეციალური პრიზი — „ალი-68“ მიეკუთვნა 21 წლის პოლონელს ა. უხრონსკას.

● **მოსკოვი, 8 სექტემბერი.** მძლეოსნობაში მოსკოვის თასის გათამაშებაში საბჭოთა ოლიმპიური გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრმა, 16 წლის სვეტლანა ლ. ჟარკოვამ 100 მეტრი 11.3 წამში გაირბინა. ჟარკოვას ეს მაჩვენებელი გოგონების მსოფლიო და ქალიშვილების ევროპის რეკორდებზე უკეთესია. მაგრამ იგი რეკორდებად არ დამტკიცდება, ვინაიდან საერთაშორისო წესების მიხედვით სარეკორდო მაჩვენებელი სამმა წამზომმა უნდა აღიაროს. აქ კი შედეგი მხოლოდ ორმა წამზომმა მიიღო. ი. ლუსისმა შუბი 88.64 მეტრზე ტყორცნა.

● **ბეგეგორბი, 8 სექტემბერი.** „ნიუ-ულეთის“ სტადიონზე გაიმართა სპიდვეიში მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო ეტაპი. 30 წლის ა. მეიჯერმა (ახალი ზელანდია) ხუთივე ცდა მოიგო, 15 ჭულა მოაგროვა და ოქროს მედალი მოიპოვა. „ვერცხლი“ წილად ხვდა მის თანამემამულე ბ. ბრიგსს, რომელსაც საბოლოოდ 12 ჭულა აღმოაჩნდა. III იყო პოლონელი ე. იანკარეკი — 11 ქულა.

● **ფონ-რომ, 8 სექტემბერი.** საფრანგეთის მძლეოსანთა შეჯიბრებაში ო. დიუკამ სიგრძეზე ხტომაში ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა — 639. ე. დ'ანკოსმა ჭოკით 537 სმ სიმაღლე დაძლია.

● **ათენი, 8 სექტემბერი.** ბალკანეთის ქვეყნების მძლეოსანთა 27-ე თამაშებში, რომლებიც ფაქტიურად ოლიმპიადისწინა ბოლო ასპარეზობაა ვ. ნიკოლაჩმა (იუგოსლავია) 800 მეტრზე ქალთა რბენაში შესანიშნავი შედეგი (2.01,5) აჩვენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

... ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება, და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება...

ნ. ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავის გამო

წინ ტატო უფის პაიკებს...

მემატიანე არ გვამცნობს თამაშობდა თუ არა ჭადრაკს ქართული ლექსის კორიფე ნიკოლოზ ბარათაშვილი. ამის თაობაზე არც პოეტის თხზულებებშია რაიმე ცნობა. ჩვენი აზრით კი, სასიქადულო მამულიშვილი იცნობდა ჭადრაკს.

როცა ყმაწვილი ტატო ბარათაშვილი საზოგადოებაში გამოვიდა, რა თქმა უნდა, იგი დაუახლოვდა თანატოლ, პროგრესულად განწყობილ ახალგაზრდებს. იმ დროს, როგორც ადრე, 20-იან წლებში, თბილისის მოწინავე ახალგაზრდობა თავს იყრიდა გამოჩენილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში. აქ მათ მუდამ სტუმართმოყვრულად ხვდებოდნენ.

დიდი პოეტის ულამაზესი და მწიგნობარი ასულები ნინო და კატინკა (პირველი — გენიალური რუსი მწერლის ა. გრიბოედოვის მეუღლე, მეორე — სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა) ამ საღამოების სული და გული იყვნენ. ისმოდა მუსიკის ჰანგები, ხმაში აყოლებული ლექსები, სტუმრები ეცნობოდნენ ახალ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, საუბრობდნენ პოლიტიკაზე, ერთობოდნენ ჭადრაკისა და ნარდის თამაშით...

ამ საღამოების ხშირი და სასურველი სტუმარი ნიკოლოზ ბარათაშვილიც გახლდათ. იგი კატინკას ეტრფოდა, ეს უკანასკნელი კი თანაუგრძნობდა მას. ყმაწვილი ტატო ლექსებს უძღვნიდა მიჯნურს (ეს და სხვა ლექსები ხომ სწორედ ეკატერინემ შემოუნახა შთამომავლობას), უკითხავდა კიდეც. ზოგჯერ ალბათ ჭადრაკსაც თამაშობდნენ.

შემთხვევითი როდია, რომ დრამატურგ მ. მრევლიშვილის პიესაში „ნ. ბარათაშვილი“, რომელიც შ. რუსთაველის სახელობის თეატრმა დადგა რამდენიმე წლის წინათ, ჭაბუკი პოეტი მეგობრებთან ჭადრაკშიც პაექრობდა.

ინგლისური საჭადრაკო ჟურნალი „ჩეს მონსლი“ 1892 წლის ერთ-ერთ ნომერში სასიქადულო ქართველი მოჭადრაკის ანდრია დადიანისადმი მიძღვნილ წერილში წერს, რომ მას ჭადრაკის თამაში ასწავლეს მშობლებმა (ალბათ დედამ, ვინაიდან იმ დროისთვის მისი მამა დავით დადიანი არ იყო ცოცხალი). ანდრიას დედა ეკატერინე ჭავჭავაძე გახლდათ.

სწორედ ეს ამბავი ჩააწნა ანდრია დადიანისადმი მიძღვნილ ლექსში აჭარელმა პოეტმა ქალმა ნანა გვარიშვილმა.

აი, ეს ლექსიც — „მესაიდუმლე ჭადრაკი“:

ბანოვანს ხატავს საყურე
ჭადრაკის დაფას ჩაჰყურებს.
ჩაფიქრებია თვალები
ბრწყინავენ მინანქარები.
სიო ქრის მოგონებების,
უცებ შესცივდა დედოფალს.
ხინანულით და ოცნებით
სულის სწორს შეხვდა ეტყობ
წინ ტატო უზის პაიკებს
ხათრით რომ მოაგებინებს.
ცეცხლში ჩავარდნას აპირებს,
ასულს ვინ გააგებინებს?!
„— ამ თეთრ ტაიპზე დაგისვამ
ცაში ავაფრენ მაზხალებს,
ქართლის ხევდიან ნისლებად
თეთრი მანდილი გაშალე“.
საყურის ძირას ჩურჩულებს,
ხულს ძლივ იბრუნებს ჭაბუკი,
ეხვავათ მოჭადრაკეებს
ქალის კისკისის ქარბუქი.
უანიდად დარჩა ნათქვამი...
ვერ დაუტოლა ოცნება.
წამწამს დაეცა წამწამი,
დედოფლის ცრემლი მოცელა.
ვერცხლის ბილიკით კულულში
ჩემ სევდას ჩაუარია,
ჭადრაკის დაფა დასველდა
ტატოს თვალების ბრალია...
წინ ტატო უზის?! ო, არა,
განჯას ჩაუკრა თვალები
მისი ანდრია პატარა,
შეჰყურებს მონაკრძალები.
დედა ასწავლის სვლის ხერხებს,
ფიქრით შორს არის წასული.
ჭადრაკს მზითევად წაიღებ
მისი ნანატრი ასული.

როგორც ხედავთ, პოეტის მა[illegible]ტერული ფუხჯით ნამდვილი ისტორიული ფაქტი დიდი მგრძნობ[illegible] და ულამაზესი ასულის სიყვარ[illegible]ლის ფონხზეა გადძოცემული.

ეკატერინე ჭავჭავაძემ ჭადრაკ[illegible] სადმი დაუოკებელი ლტოლვა თ[illegible]ვის პირმშოს დაანახლა. ანდრ[illegible] დადიანმა დიდი ალიარება მოხ[illegible]ვეჭა საჭადრაკო სამყაროში, სახ[illegible]ლი გაუთქვა ქართულ ჭადრაკს.

ვინ იცის, ნიკოლოზ ბარათ[illegible]შვილს რომ დასცლოდა, იქნებ [illegible] ბრძნულ თამაშსაც შეამკობდა თ[illegible]ვის გენიის მარგალიტით.

თ. გიორგაძე.



შამათი ექვს სვლაში

ეირბის, ეიეაფრენს...

ჭადრაკის კომპოზიციის ტრფიალმა, თბილისელმა ეზიდმა შამილ ადემ,» საქართველოში დაბადებულმა და ქართულ სკოლაში აღზრდილმა, ეს ამოცანა ნიკოლოზ ბარათაშვილს „მერანის“ ზეგავლენით შეადგინა. ამოხსნას „კომენტარს“ პოეტის სიტყვები უკეთებენ.

მირბის, მიმაფრენს, უგზო-
უკვლოდ ჩემი მერანი,
1. მe7—c8
უკან მომჩხავის თვალბედითი
შავი ყორანი!
1. ... მფe4—e5
2. h2—h3 მფe5—e4
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ
აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი,
შავად მღელვარი!...
3. მc8—d6+ მფe4—e5
გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო,
გარდამატარე ბედის სამძღვარი,
თუ აქამომდე არ ემონა მას,
არც აწ ემონოს შენი მხედარი!
4. მd6—f7+ მფe5—e4
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება;
5. h3 — h4
და ჩემს შემდგომად მოძმესა
ჩემსა სიძნელე გზისა
გაუადვილდეს...
5. ... e6—e5
6. მf7—d6×.

ბრძოლა განახლდა

კაუნასი, 9 სექტემბერი (დეპეშით). განახლდა სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა მე-7 ჩემპიონატი. როგორც ცნობილია ორმა წრემ გამოაკლინა ის 8 უძლიერესი, რომლებმაც ოქროს მედლებისთვის უნდა იბრძოლონ. და აი, ახლა ისინი მესამე წრის გასამართავად აქ შეგროვდნენ.

ასპარეზობის ლიდერს, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს ამ დღეს მოსკოვის „კუნცევო“ ეთამაშებოდა. გაიმარჯვეს ტუდენტებმა 31:23 (15:11).

თბილისის „ბურევესტნიკის“ მეტოქე გახლდათ კრასნოდარელი თანაგუნდელები. დასაწყისში ყველაფერი კარგად მიდიოდა: ჩვენები დაწინაურდნენ — 3:0, 7:3, მაგრამ მერე, თანდათან დაპკარგეს მონაპოვარი და მეტოქეს ზედიზედ ოთხი უპასუხო გოლი გაატანინეს — 7:7.

ბრძოლა თანდათან გამწვავდა. ერთხანს თბილისელები ისევ ავიდნენ წინ — 10:8. მაგრამ კრასნოდარელებმა მალე გამოასწორეს მდგომარეობა. ტაიმის დასასრულს უხეშობისთვის ცერცვაძე 5 წუთით გააძევეს მოედნიდან, ამიტომაც შეხვედრის მეორე ნახევარი ჩვენებმა 6 კაცის შემადგენლობით დაიწყეს. ამით კარგად ისარგებლა მეტოქემ და დაწინაურდა — 15:12. როცა მოედანზე ძალთა თანაფარდობა აღდგა, ანგარიშიც გათანაბრდა, შემდეგ კი თბილისელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა (19:17). მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე მეტოქეებს 19-19 გოლი ჰქონდათ გატანილი. ამ მომენტში ჩვენებს ნერვებმა უმტყუნა: ნედბაილომ ვერ გამოიყენა პენალტი. კრასნოდარელთა მეკარემ ზედიზედ სამჯერ მოიგერია შეტევა და მაინც, უკანასკნელ მომენტში ცერცვაძემ გადამწყვეტი გოლი გაიტანა — 20:19.

სსრ კავშირის პირველობა ხელბურთში

გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს: ნედბაილომ — 9, ცერცვაძემ — 6, ფხაკაძემ — 4, ექსეულიძემ — 1. ამ ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე) — ასკ (კიევი) — 23:16, „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „დაუგავა“ (რიგა) 21:21.

მეორე ტურში თბილისელთა მეტოქე იყო კაუნასის „ჟალგირისი“. ჩვენები ამჯერად იღმაელობით იბრძოდნენ. ბრწყინვალედ თამაშობდა მეკარე ხუციშვილი, თავდამსხმელები ნაკლებად ცდებოდნენ და გაიმარჯვეს კიდეც 21:18 (12:10). თბილისელებიდან გოლები გაიტანეს: ფხაკაძემ — 7, ცერცვაძემ — 6, ნედბაილომ — 3, სეფიაშვილმა — 3, ექსეულიძემ — 2.

მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტისა და „ალუმინსტროის“ ორთაბრძოლაში პირველი ტაიმი ლიდერებმა 2 ქულით წააგეს — 10:12, მაგრამ შესვენების შემდეგ მდგომარეობა გამოასწორეს და გათამაშების ცხრილში კიდევ ორი ქულა ჩაიწერეს — 27:22. კიევის არმიელთა გუნდმა დაამარცხა რიგის „დაუგავა“. 17:[illegible] კრასნოდარის „ბურევესტნიკ[illegible]მა“ — „კუნცევო“ — 21:19.

ჩვენებს მორიგი შეხვედრ[illegible] აქვთ: დღეს — კიეველ არმიელ[illegible]ბთან, ხვალ დასვენების დ[illegible] 11 სექტემბერს ეთამაშებიან გ[illegible]მაშების ლიდერს, 12-ში „ს[illegible]ინსტროის“.

სადღეისოდ გათამაშების ცხ[illegible]ლში ასეთი მდგომარეობაა:

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.
მოსკოვის საავიაციო ინსტ.	13	12	1	0	318:240
„კუნცევო“ (მოსკოვი)	13	8	2	3	273:229
„ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე)	13	7	1	5	267:241
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	13	7	1	5	233:233
ასკ (კიევი)	13	6	2	5	208:239
„ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი)	13	6	1	6	248:234
„ჟალგირისი“ (კაუნასი)	13	5	1	7	280:283
„დაუგავა“ (რიგა)	13	5	1	7	240:259

საინტერესო ღონისძიება

ჩაქვის წყალზე ორ დღეს გრძელდებოდა „განთიადის“ აჭარის საოლქო საბჭოს პირად-გუნდური ასპარეზობა ტურისტულ მრავალჭიდსა და თევზჭერაში. ტურისტული მრავალჭიდის პროგრამაში შედიოდა რბენა, ბაგირით მდინარის გადალახვა, საკაცის დამზადება და დაზარალებულის გადაყვანა, ციცაბო კლდეზე ასვლა-ჩამოსვლა, კარვის გაშლა.

ასპარეზობაში მონაწილეობდა ბათუმის საწარმოთა და დაწესებულებების 12 გუნდის 170-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე. ტურისტულ მრავალჭიდსა და თევზჭერაში ყოველ გუნდს 5-5 კაცი და 2-2 ქალი გამოყავდა.

ტურისტულ მრავალჭიდში პირველსავე ეტაპზე ინიციატივა მოიპოვეს ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის სპორტსმენებმა და საზოგადოების ჩემპიონის სახელი დაისაკუთრეს. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ხისდასამუშავებელი კომბინატისა და გემსაშენი ქარხნის გუნდები.

დიდი ინტერესი გამოიწვია ასპარეზობამ თევზჭერაში, 70-ზე მეტმა სპორტსმენმა ჩაქვის წყალში ერთდროულად ჩაუშვა ანკესი. 4-საათიანი „ნადირობის“ შემდეგ გუნდურ ჩათვლაში ყველას მენავთობეებმა აჯობეს. II ადგილზეა სამკერვალო ფაბრიკის, III—გემსაშენი ქარხნის ნაკრები. ყველ[illegible] მეტი (10 ცალი) კალმახი დაიჭ[illegible] ნავთობგადასამუშავებელი ქარხნ[illegible] მუშამ ვ. ივანოვმა, II და III [illegible] ადგილები მისმა თანაგუნდელებ[illegible] ვ. ზემლიანოვმა და ს. ბირიუკ[illegible] დაისაკუთრეს. მათ ანკესებს შ[illegible] ბამისად 8 და 6 ცალი კალმ[illegible] წამოეგო.

ო. ჟურავლიო[illegible]
(ჩვენი კორ.)

ქ. ბათუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი კაპიტანი

ასე ჰქვია ფილმს, რომელიც შექმნა დოკუმენტური ფილმების ცენტრალურ სტუდიაში რეჟისორმა ვ. კონოვალოვმა სცენარისტ ი. მენჯერიცკისა და ოპერატორ გ. ეპიფანოვთან თანამეგობრობით.

სამი კაპიტანი, სამი სხვადასხვა ადამიანი, რომლებმაც საბჭოთა ქვეყანას ოქროს მედლები მოუტანეს სპორტის სხვადასხვა სახეობაში, ჩვენს წინ გაივლიან ეკრანზე.

ავიაინჟინერი, მოსკოვის „სპარტაკის“ კაპიტანი, მსოფლიოს ექვსგზის, ევროპის ცხრაგზის და ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. სტარშინოვი, სტუდენტი. სსრ კავშირის ძალოსანთა ნაკრები გუნდის კაპიტანი, მსოფლიო რეკორდსმენი, ევროპის ჩემპიონი, 1967 წლის სსრ კავშირის საუკეთესო სპორტსმენი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ტალინელი ი. ტალტხი და ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის აღზრდილი, სსრ კავშირის ველოსიპედისტთა ნაკრები გუნდის კაპიტანი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი გზატკეცილზე და ტრეკზე. სპორტის დამსახურებული ოსტატი, ლენინგრადელი ს. მოსკვინი. აი, ახალი ფილმის, „სამი კაპიტნის“ გმირები.

ჩვენს სურათში, გვეუბნებიან ავტორები, არ ვაპირებდით მოგვეთხრო ჩვენი გმირების ბიოგრაფია, მათ გზებზე საპატიო კვარცხლბეკისკენ. ჩვენი ფილმი ეხება შრომას, ჩემპიონთა მძიმე შრომას.

მძაფრი მომენტები, დაძაბული ორთაბრძოლები, სენსაციები, გამარჯვება და მარცხი, წვრთნა და შრომა, ურომლისოდაც არ არსებობს გამარჯვება, უყელაფერი ეს ეკრანზე გადაიტანა ოპერატორმა გ. ეპიფანოვმა.

20 წუთს გრძელდება წარმტაცი კინოფირი, რომელსაც კმაყოფილებით შეხვდებიან საბჭოთა მაყურებლები.

გ. რატომსკაია.

* * *

სურათებზე. ფილმის მონაწილეები მარცხნიდან — ვ. სტარშინოვი, ს. მოსკვინი და ი. ტალტხი.

უკრაინის გუნდმა იმარჯვა

კვირას თბილისში დამთავრდა ბადმინტონისტთა საკავშირო გუნდური პირველობა, ხოლო გუშინ გაჩაღდა პირადი ასპარეზობა. ტურნირში თექვსმეტივე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის საუკეთესო სპორტსმენები მონაწილეობენ.

გუნდური პირველობა ორ კლასად ჩატარდა. „ა“ კლასში 8 უძლიერესი კოლექტივი გამოდიოდა, „ბ“ კლასში — დანარჩენნი, რომლებიც „ა“ კლასის საგზურისთვის ებრძოდნენ ერთმანეთს. სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონობა მოიპოვა უკრაინის კოლექტივმა, მან ფინალში ანგარიშით 6:5 სძლია მოსკოვის ნაკრებს. ამ დუელის დადებულობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მატჩი 8 საათს გაგრძელდა. III ადგილი წილად ხვდათ რსფსრ-ს ბადმინტონისტებს, რომლებმაც ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლაში დაამარცხეს ლენინგრადელები.

ჩვენი ბადმინტონისტების მზარდი ოსტატობა მარტო „ა“ კლასის გუნდების ტურნირმა რიდი დაადასტურა. მეტად სასიხარულო ფაქტი გახლავთ „ბ“ კლასის ზოგიერთი გუნდისა და ცალკეული მოთამაშეების მაღალი ტექნიკური მომზადება. განსაკუთრებით სასიამოვნო მოულოდნელობა გახლდათ საქართველოს ნაკრების კარგი გამოსვლა.

საქართველოს ბადმინტონისტები საკავშირო სარბიელზე პირველად 1964 წელს ვიხილეთ ხარკოვში, სადაც ჩვენი ქვეყნის პირველობა ტარდებოდა. მაშინ სამხრეთელი სპორტსმენები ამ სახეობაში ფეხს იდგამდნენ და ბუნებრივია, გუნდმა ერთ-ერთი ბოლო ადგილი დაისაკუთრა!. მაგრამ განვლო სამმა წელმა და შარშან დნეპროპეტროვსკში, ჩვენი ქვეყნის მორიგ პირველობაზე საქართველოს გუნდი, რომელიც „განთიადის“ სახელით გამოვიდა, უფრო ძლიერად გამოიყურებოდა, თუმცა მათი მომზადების დონე მაშინაც ბევრ კეთილ სურვილს იმსახურებდა.

სამაგიეროდ, გვახარებდა ის, რომ დნეპროპეტროვსკში გუნდის ყველა ახალგაზრდა წევრი აღმავლობით, მონდომებით იბრძოდა. მონაწილეობა ისეთ დიდ შეჯიბრებაში, როგორიც საკავშირო ჩემპიონატია, იმაზე მეტყველებს, რომ სამხრეთელებს ნიჭიერი სპორტსმენები ჰყავთ და სამერმისო წარმატების იმედიც უნდა ჰქონდეთ.

წლევანდელი ჩემპიონატის მასპინძლებისთვის შარშანდელ სეზონს უქმად როდი ჩაუვლია. და აი, ახლა მათ საკმაოდ ძლიერი გუნდი წარმოადგინეს. პირველ დღეს საქართველოს ნაკრებმა იოლად (8:3) დაამარცხა მოლდავეთის კოლექტივი. მეორე მატჩში კი ასეთივე ანგარიშით მოუგო ყაზახეთის ბადმინტონისტებს და „ბ“ კლასის გუნდების ტურნირის ფინალში გავიდა. თუ მოლდავეთის შედარებით სუსტ გუნდთან გამარჯვება მაინცდამაინც არაა გასაკვირი, ყაზახეთის კოლექტივის დამარცხება უდავოდ დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ეს გუნდი შუა აზიაში უძლიერესია.

საქართველოს ნაკრებში რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა სპორტსმენია, ნაყოფიერი სასწავლო-საწვრთნელი მუშაობით მათ შეუძლიათ ისე იიმაღლონ ტექნიკურ-ტაქტიკური დონე, რომ გუნდს უახლოეს მომავალში მოაპოვებინონ „ა“ კლასის საგზური.

მასპინძლები, სამწუხაროდ, თამაშობენ არა მოტყუებითი ძალისმიერი შორი-სიმაღლისეული დარტყმებით, არამედ ჭელებს იღებენ მოკლე დარტყმებით და ხშირად დაცვის ზუსტი გამოყენების წყალობით.

ფინალში საქართველოს გუნდის მეტოქე გახლდათ ბელორუსიის კოლექტივი, რომელმაც „ა“ კლასი შარშან დასტოვა. ამ კოლექტივების ორთაბრძოლა მეტად საინტერესო გამოდგა. გუნდის ორი წამყვანი წევრის, დავიდოვისა და ჭურხაშვილის ტრავმა რომ არა, ვინ იცის მატჩი როგორ დამთავრდებოდა. გამარჯვება ბელორუსიელებს დარჩათ. საქართველოს სპორტსმენები თავგამოდებით იბრძოდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია კონდრატიევას, ჭურხაშვილს, დავიდოვისა და ბორიაკის კარგი თამაში. კონდრატიევამ მოუგო ქვეყნის ერთ-ერთ ცნობილ ბადმინტონისტს დროზდოვას 2:1 (11:0, 5:11, 11:5), დავიდოვმა დაზიანებული ხელით სძლია ბერეზოვს. ბორიაკმა კი ანდროპოვთან თანაბარ ბრძოლაში წაგო მინიმალური ანგარიშით — 1:2.

რა არის საქართველოს ბადმინტონისტებისთვის აუცილებელი, რომ მათ შემდგომში უკეთესად ითამაშონ, უფრო მაღალი მაჩვენებლები მოიპოვონ?

დიდი მასშტაბის შეჯიბრებებში გამარჯვების სპორტსმენები აღწევენ ტექნიკისა და ტაქტიკის მთელი არსენალის ღრმა ცოდნით, სათანადო გამოცდილების შეძენით. ამ მხრივ საქართველოს ბადმინტონისტებმა პირველი ნაბიჯი უკვე გადადგეს და სწორ გზაზეადაც დგანან. რაც შეეხება დიდ შეჯიბრებებში მონაწილეობას და გამოცდილების შეძენას, ქართველ სპორტსმენებს ეს უდავოდ აკლიათ.

ჩემის აზრით, რესპუბლიკის ბადმინტონის ფედერაციამ უნდა მიაღწიოს, საქართველოს გუნდი ხშირად რომ ხვდებოდეს სხვა რესპუბლიკების კოლექტივებს, გამოდიოდეს რსფსრ-ს, აზერბაიჯანისა და სხვა რესპუბლიკების ძიერ ორგანიზებულ ტურნირებში. ცუდი არ იქნებოდა, თუ ამგვარ შეჯიბრებებს საქართველოშიც მოაწყობდნენ მოძმე რესპუბლიკების გუნდებისა და ცალკეული უძლიერესი სპორტსმენების მონაწილეობით.

საქართველოს გუნდის თამაშს მაღალი შეფასება მისცა წარსულში ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა საუკეთესო სპორტსმენმა, ამჟამად მოსკოვის ნაკრების მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა ვ. დანილოვმა: „ამ ახალგაზრდებს დიდი მომავალი აქვთ. ისინი შესანიშნავად ფლობენ იმ თვისებებს, რაც აუცილებელია უმაღლესი კლასის სპორტსმენისთვის: ტემპერამენტს, მონდომებას, ფიზიკურ ძალას, ბრძოლის სწორად წარმართვის ალღოს, მაგრამ არც ერთი მათგანი ჯერ არაა სრულყოფილი“...

გვჯერა, რომ ბადმინტონი უახლოეს ხანში საქართველოშიც სათანადო დონეზე ავა და ამ რესპუბლიკის კოლექტივი უმაღლესი ტიტულისთვის იბრძოლებს.

ა. კოსტნიკოვი,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

* * *

სურათზე: მოსკოველი ვ. კოროვკინა ახალგაზრდობისას.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

„ბ“ ჯგუფი

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები რსფსრ-ს ზონებში. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

ქოგულეთიდან...

ადგილობრივმა „შუქურამ“ მიიღო ცხინვალის „სპარტაკი“. თამაში დაიწყო ორმხრივი იერიშებით, მაგრამ სულ მალე გამოიკვეთა მასპინძლების უპირატესობა, ისინი მოქმედებდნენ უფრო გააზრებულად და მწვავედ. 29-ე წუთზე ჯიქიამ ზუსტად ჩაწოდა ბურთი ცხინვალელთა კარის გასწვრივ და მანველიშვილმა გახსნა ანგარიში. ტაიმის დამთავრებამდე მასპინძლებს კიდევ ჰქონდათ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ ვერ გამოიყენეს ისინი. 65-ე წუთზე მანველიშვილმა ანგარიში ორამდე გაზარდა. მატჩის დასასრულს სტუმრებმა შესძლეს ერთი საპასუხო ბურთის გატანა (თედეევი). შეხვედრა დამთავრდა „შუქურას“ გამარჯვებით — 2:1. აღსანიშნავია, ქობულეთელთა თავდამსხმელის მანველიშვილის კარგი თამაში.

ლ. ტრაპაიძე.

თელავიდან...

„კახეთი“ ფოთის „კოლხეთს“ მასპინძლობდა. შეხვედრის პირველ ნახევარში ტერიტორიული უპირატესობა მასპინძლების მხარეს იყო. 31-ე წუთზე „კახეთის“ ნახევარმცველმა კობახიძემ მოულოდნელად ძლიერად დაარტყა კარში. ფოთელთა შეკარის ოდიშარიას ნახტომი ამაო გამოდგა— 1:0. ზუსტად 2 წუთის შემდეგ მასპინძლების ცენტრალურმა თავდამსმელმა იოსებაშვილმა თავური დარტყმით მეორედ შეარხია სტუმრების კარის ბადე. II ტაიმში ანგარიში არ შეცვლილა, თუმცა ორივე გუნდს ჰქონდა გოლის გატანის რამდენიმე ნაღდი შესაძლებლობა. თამაშის დამთავრების შემდეგ „კახეთის“ ნახევარმცველს კობახიძეს გადაეცა იდგილობრივი სპორტკავშირის პრიზი, როგორც ახალ სტადიონზე პირველი გოლის ავტორს.

ხ. ოხანაშვილი.

ლანჩხუთიდან...

დიდი ინტერესი გამოიწვია IV ზონის ლიდერის კიროვაკანის „ლორისა“ და ადგილობრივი „გურიის“ შეხვედრამ. ლანჩხუთელებმა ბოლო ოთხ ტურში 8 ქულა აიღეს და საგრძნობლად გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა. სწორედ ამიტომ, საფიქრებელი იყო, რომ ისინი ამ თამაშსაც მონდომებით ჩაატარებდნენ. მე-18 წუთზე ძიძიგურმა გახსნა ანგარიში, მაგრამ სულ მალე სტუმრებმა შეძლეს წონასწორობის აღდგენა — 1:1. მეორე ნახევარში ჩხარტიშვილმა თანაგუნდელთა ერთ-ერთი შეტევა გოლით დააგვირგვინა. ორიოდე წუთის შემდეგ კიროვაკანის ფეხბურთელებმა გ. ლიტანეს საპასუხო ბურთი და ანგარიში ერთხელ კიდევ გათანაბრდა 2:2. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო სტუმრებს კარის გამუდმებული შტურმი. ორჯერ „ლორის“ ბედი ბეწვზე ეკიდა. მაგრამ ძალმა უკუაგდო ლანჩხუთელი ფორვარდების უძლიერესი დარტყმები. თამაშის მიწურულში პერტენავამ წინ გაიყვანა თავისი გუნდი, ხოლო ძიძიგურმა ზუსტი დარტყმით განამტკიცა „გურიის“ წარმატება — 4:2.

ი. ებრალიძე.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ

„Ჯ“ ᲯᲒᲣᲤᲘ

III ᲙᲕᲔᲯᲒᲣᲤᲘ

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები:

„ტორპედო“ (ტაგანროგი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 1:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „მეშახტე“ (ტყიბული) 2:0, „თერგი“ (გროზნო) — „დინამო“ (ბათუმი) 0:0, „დინამო“ (მახაჩყალა) — „ფოლადი“ (სუმგაითი) 0:0, „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) — „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) 2:2, „მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი) — „ვოლგა“ (გორკი) 0:2, „სტროიტელი“ (უფა) — „ვოლგარი“ (ასტრახანი) 1:0, „ზენიტი“ (იჟევსკი) — „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) 1:0, „ზვეზდა“ (პერმი) — „ვოლგა“ (ულიანოვსკი) 0:0.

გათამაშების ლიდერების—სვერდლოვსკის „ურალმაშისა“ და ყაზანის „რუბინის“ მატჩი არ შედგა სვერდლოვსკელთა საზღვარგარეთულ ტურნეში გამგზავრების გამო.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

შედგომარეობა 10 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	28	17	8	3	42—14	42
„დინამო“ (მახაჩყალა)	28	11	14	3	20—10	36
„რუბინი“ (ყაზანი)	27	13	9	5	37—20	35
„ვოლგა“ (გორკი)	28	13	8	7	42—21	34
„ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი)	29	10	14	5	31—23	34
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	28	13	7	8	37—24	33
„დინამო“ (ბათუმი)	29	10	10	9	31—26	30
„ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი)	29	11	8	10	27—27	30
„ზენიტი“ (იჟევსკი)	29	10	9	10	28—30	29
„ზვეზდა“ (პერმი)	29	8	12	9	22—28	28
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	28	9	9	10	30—27	27
„ვოლგარი“ (ასტრახანი)	29	8	10	11	33—38	26
„ტორპედო“ (ტაგანროგი)	28	9	8	11	22—28	26
„სტროიტელი“ (უფა)	29	8	10	11	30—37	26
„ფოლადი“ (სუმგაითი)	28	9	8	11	22—29	26
„სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა)	28	7	11	10	23—23	25
„ვოლგა“ (ულიანოვსკი)	29	9	6	14	29—45	24
„მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი)	29	6	11	12	24—45	23
„თერგი“ (გროზნო)	28	6	10	12	30—36	22
„მეშახტე“ (ტყიბული)	29	4	14	11	25—37	22
„შირაკი“ (ლენინაკანი)	29	6	8	15	22—39	20

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ...

თბილისის ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლისა და მოსკოვის „ტორპედოს“ გუნდების მატჩით (0:0) დნეპროპეტროვსკში დაიწყო „ა“ და „ბ“ კლასის ოსტატთა გუნდებთან არსებული ჭაბუკ ფეხბურთელთა მოსამზადებელი ჯგუფების საკავშირო შეჯიბრების ფინალი. ტურნირში, რომელიც ორ ჯგუფად ტარდება, 8 გუნდი მონაწილეობს. მედლებს გაითამაშებს ორ-ორი გამარჯვებული თვითეული ჯგუფიდან.

მეხუთე სერიის პასუხები

1. **საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება დაწესდა 1961 წლის 21 ივლისის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით. ამ წოდების პირველი ლაურეატები იყვნენ რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის საქმის გამოჩენილი მოღვაწენი და მოამაგენი — ალექსანდრე აბზიანიძე, შოთა ახვლედიანი, მიხეილ გორგაძე, ლევ გოლოვნია, მზია ერისთავი, გიორგი ჩიკვაიძე და მიხეილ ცხვედაძე.**

აღნიშნული საპატიო წოდება ენიჭებათ იმ პირებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში, ორგანიზაციულ, სამეცნიერო-საკვლევ, მეთოდურ, პედაგოგიურ მუშაობასა და სამკურნალო ფიზკულტურაში და რომლებმაც ამ დარგში იმუშავეს არანაკლებ 40 წელი.

2. **ჰიმალაის ქედის მთის მასივი, რომლის უმაღლესი მწვერვალი 8.125 მეტრია, არის ნანგა-პარბატი. ნანგა-პარბატის უმაღლეს მწვერვალზე პირველი ასვლა განახორციელეს ავსტრიელებმა 1953 წლის 3 ივლისს (ექსპედიციაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ). მწვერვალზე ექსპედიციის მხოლოდ ერთი წევრი, ავსტრიელი გერმან ბული ავიდა.**

ნანგა-პარბატი (შიშველი მთა) ჰიმალაის მთავარი ქედის ჩრდილო-დასავლეთის დაბოლოების მთის მასივია. მასივი შეიცავს მთელ რიგ მნიშვნელოვან მწვერვალებს, მათ შორის უმაღლესია: მთავარი (8.125 მ), ჩრდილოეთის (7.910 მ) და დასავლეთისა (8.000 მ). მთავარი მწვერვალის დაპყრობა პირველად სცადეს ინგლისელებმა 1895 წელს, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში დაინებითი იერიში მიქონდათ გერმანელებს. ისინი ხუთჯერ იყვნენ ახლოს მიზანთან, თუმცა არცერთ ცდას არ მოჰყოლია სასურველი შედეგი. ნანგა-პარბატმა, როგორც მას გერმანელებმა „საშინელებათა მთა“ უწოდეს, შეიწირა 28 ალპინისტი და ტვირთმზიდი.

3. **მძიმე წონის მოკრივეთა შორის მსოფლიოს შემდეგმა ჩემპიონებმა დატოვეს პროფესიონალური რინგი დაუმარცხებლად: ჯეიმს ჯეფრისმა (ჩემპიონი იყო 1899 — 1905 წლებში), ჯინ ტუნეიმ (1926 — 1928), ჯო ლუისმა (1937 — 1949), როკი მარჩიანომ (1952 — 1956) და კასიუს კლეიმ (მოჰამედ ალი. 1964 — 1967 წლები).**

ზემოთ დასახელებული სპორტსმენებიდან ჯეფრისი და ლუისი მომდევნო წლებში კვლავ დაუბრუნდნენ რინგს, მაგრამ მათ გამოსვლებს სასურველი შედეგი აღარ მოჰყოლია — ჯეფრისი დამარცხდა ჯეკ ჯონსონთან (1910 წელს), ხოლო ლუისი ჯერ ეზარდ ჩარლზთან (1950 წელს), შემდეგ კი — მარჩიანოსთან (1951 წელს). აქვე აღვნიშნავთ, რომ კასიუს კლეის პროფესიული რინგი თავისი სურვილით არ დაუტოვებია. ვიეტნამის წინააღმდეგ სამხედროველად ამერიკის შეერთებული შტატების არმიის რიგებში გაწვევაზე უარის თქმისთვის, მას ჩამოერთვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება.

4. **თავისი პირველი საერთაშორისო მატჩი სსრ კავშირის კალთებურთელ ვაჟთა ნაკრებმა გამართა იუგოსლავიის ნაკრებთან ევროპის 1947 წლის პირველობაზე 27 აპრილს პრაღაში და მოგო იგი ანგარიშით 50:11.**

ამ შეჯიბრებაში ჩვენს ნაკრებს არ წაუგია არცერთი შეხვედრა, ფინალში 19 ქულის სხვაობით დამარცხა ევროპის ჩემპიონი, ჩეხოსლოვაკიის ნაკრები და კონტინენტის უძლიერესი გუნდის სახელი მოიპოვა. გუნდის შემადგენლობაში შედიოდნენ: ვ. კულაკაუსკასი, ი. უმაკოვი, ო. ქორქია, ს. ბუტაუტასი, ა. მოისეევი, ა. კონევი, ხ. ჯორჯიკია, ი. ლისოვი, ე. ალექსეევი, ი. კულამბ, ვ. კოლპაკოვი, კ. პეტკოვიჩუსი, ს. ტარასოვი.

5. **ცნობილმა ნორვეგიელმა ფიგურისტმა — მსოფლიოს ათგზის, ევროპის ექვსგზისა და ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონმა სონია ჰენიმ მონაწილეობა მიიღო ზამთრის ოთხ ოლიმპიურ თამაშებში: 1924 წელს შამონიში (საფრანგეთი) — VIII ადგილი, 1928 წელს სანკტ-მორიცში (შვეიცარია) — I ადგილი, 1932 წელს ლეიკ-პლესიდში (აშშ) — I ადგილი და 1936 წელს გარმიშ-პარტენკირჩენში (გერმანია) — I ადგილი.**

6. **პირველად საბჭოთა კავშირის დიდოსტატის წოდება მიიღო მიხეილ ბოტვინიკმა 1935 წელს მოსკოვის II საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში წარმატებით გამოსვლისთვის (მოაგროვა 13 ქულა და სალო ფლორთან ერთად გაიყო I-II ადგილი. უკან მოიტოვა მსოფლიოს ორი ექს-ჩემპიონი — ემანუილ ლასკერი და ხოსე რაულ კაპაბლანკა). ჰავანაში ამ უმაღლესი წოდების მინიჭებისას აგრეთვე გაითვალისწინეს ბოტვინიკის ადრეული მიღწევებიც საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე.**

1928 წლისთვის საბჭოთა საჭადრაკო ორგანიზაცია თავის რიგებში უკვე 21 ოსტატს ითვლიდა. ეს იძლეოდა შესაძლებლობას მოკავშირე რესპუბლიკათა საჭადრაკო სექციების საბჭოს აღმასრულებელი ბიუროს 1928 წლის ერთ-ერთ სხდომაზე დადებითად გადაწყვეტილიყო მნიშვნელოვანი საკითხი საბჭოთა კავშირის დიდოსტატის წოდების შემოღების შესახებ. გადაწყდა სსრ კავშირის დიდოსტატის წოდება მინიჭებოდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონს, რომელიც შემდგომი ორი წლის განმავლობაში ამავე წოდებას დაადასტურებდა საკავშირო ჩემპიონატებში, ან საერთაშორისო ტურნირში. 1928 წელს საბჭოთა კავშირის პირველობა არ გამართულა. 1929 წელს გაიმართა სსრ კავშირის VI ჩემპიონატი. გაიმართა იგი მრავალსაფეხურიანი სისტემით. ჩემპიონის ტიტულსა და სსრ კავშირის პირველი დიდოსტატის წოდებას ერთმანეთს ეცილებოდა 36 უძლიერესი. ფინალში გავიდნენ ბ. ვერლინსკი, ი. კანი და ს. ფრეიმანი. პირველი პრიზი და ჩემპიონის წოდება მოიპოვა ბორის ვერლინსკიმ, რომელსაც მიენიჭა კიდეც საბჭოთა კავშირის პირველი დიდოსტატის წოდება. შემდგომ წლებში ვერლინსკიმ მრავალ დიდ ტურნირში მიიღო მონაწილეობა, წარმატებებიც ჰქონდა, მაგრამ დიდოსტატის წოდება ვერ დაიმტკიცა და 30-იან წლებში დაკარგა იგი, ხოლო საბჭოთა კავშირის დიდოსტატის წოდების მინიჭების თაობაზე 1928 წლის გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნა.

7. **ჰელსინკის ოლიმპიური თამაშებიდან მოყოლებული საბჭოთა სპორტსმენებმა პირველი ადგილები ყველა შემდგომ ოლიმპიადაში შეინარჩუნეს: აკადემიურ ნიჩბოსნობაში (ერთმოსასმელიანი), ქალთა შორის ბირთვის კვრასა და ტანმოვარჯიშე ქალთა გუნდურ შეჯიბრებაში.**

აკადემიურ ნიჩბოსნობაში (ერთმოსასმელიანი) ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ: ჰელსინკი, 1952 წ. — ი. ტიუკალოვი (8.12,8), მელბურნი, 1956 წ. — ვ. ივანოვი (8.02,5), რომი, 1960 წ. — ვ. ივანოვი (7.13,96), ტოკიო, 1964 წ. — ვ. ივანოვი (8.22,51).

ქალთა შორის ბირთვის კვრაში ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ: ჰელსინკი — გ. ზიბინა (15,28 მ), მელბურნი — თ. ტიშკევიჩი (16,59 მ), რომი — თ. პრესი (17,32 მ), ტოკიო — თ. პრესი (18,14 მ).

საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშე ქალთა ნაკრები გამოდიოდა შემდეგი შემადგენლობით: ჰელსინკი — მ. გოროხოვსკაია, ნ. ბოჩაროვა, გ. მინაიჩევა, გ. ურბანოვიჩი, მ. ჯუღელი, პ. დანილოვა, გ. შამრაი, ვ. კალინჩუკი (527,03 ქულა); მელბურნი — ლ. ლატინინა, ს. მურატოვა, თ. მანინა, პ. ასტახოვა, ლ. კალინინა, ლ. ეგოროვა (444,8 ქულა); რომი — ლ. ლატინინა, პ. ასტახოვა, ს. მურატოვა, თ. ლიუბინა, ნ. ივანოვა, მ. ნიკოლაევა (382,320 ქულა); ტოკიო — ლ. ლატინინა, პ. ასტახოვა, თ. მანინა, ე. ვოლჩეცკაია, თ. ლიუბინა, ლ. გრომოვა (380,890 ქულა).

8. **ვაჟთა შორის მსოფლიო თასი ფრენბურთში პირველად გათამაშდა 1965 წელს. საბჭოთა სპორტსმენებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა ასპარეზობაში და თასის პირველი მფლობელებიც გახდნენ.**

მსოფლიო თასის პირველ გათამაშებაში 11 ქვეყნის ეროვნული ნაკრები მონაწილეობდა. ტურნირი მიმდინარეობდა პოლონეთის სხვადასხვა ქალაქში. საბჭოთა ფრენბურთელებმა მხოლოდ ერთ შეხვედრაში (იაპონიასთან) გახიცადეს მარცხი — 2:3. ასევე ერთი წაგება ჰქონდათ პოლონელებსაც (საბჭოთა ნაკრებთან), მაგრამ წაგებულ პარტიათა სიმცირის წყალობით, თასი ჩვენმა ფრენბურთელებმა მოიპოვეს. II ადგილზე პოლონეთის გუნდი გამოვიდა, ხოლო III ადგილზე — ჩეხოსლოვაკია. საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: ი. ბუგაენკოვი, ვ. კრავჩენკო, ე. ლაპინსკი, ე. სიბირიაკოვი, ვ. ივანოვი, ვ. სანაკოევი, ნ. ბურობინი, ვ. კაჭარავა.

9. **ზაფხულის ოთხივე ოლიმპიურ თამაშებში (ჰელსინკი, მელბურნი, რომი, ტოკიო) საბჭოთა სპორტსმენებიდან მონაწილეობდნენ გალინა ზიბინა (ბირთვის კვრა), ნინო პონომარიოვა (ბადროს ტყორცნა), მარკ მიდლერი (ფარიკაობა, რაპირა), იგორ ნოვიკოვი (თანამედროვე ხუთჭიდი).**

ზემოდ დასახელებულმა სპორტსმენებმა ისპარეზეს ასეთი შედეგებით: ზიბინა — 1952 წ. — I ადგილი (შუბის ტყორცნაში — IV ადგილი), 1956 წ. — II, 1960 წ. — ექვსეულში ვერ მოხვდა, 1964 წ. — ექვსეულში ვერ მოხვდა; პონომარიოვა — 1952 წ. — I, 1956 წ. III, 1960 — I, 1964 წ. — ექვსეულში ვერ მოხვდა; მიდლერი — 1952 წ. — ექვსეულში ვერ მოხვდა (გუნდური — XII), 1956 წ. — ექვსეულში ვერ მოხვდა (გუნდური — VI), 1960 წ. — V (გუნდური — I), 1964 წ. — ექვსეულში ვერ მოხვდა (გუნდური — I); ნოვიკოვი — 1952 წ. — IV (გუნდური — V), 1956 წ. — IV (გუნდური I). 1960 წ. — V (გუნდური — II), 1964 წ. — II (გუნდური — I).

10. **ხურათზე აღბეჭდილია მსოფლიოში გამოჩენილი საბჭოთა სპორტსმენი ქალი, ჩელიაბინსკელი მოციგურავე ლიდია სკობლიკოვა. მან ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია 1964 წლის ინსბრუკის IX ოლიმპიურ თამაშებში.**

თეთრი ოლიმპიადების ისტორიის მანძილზე მხოლოდ ოთხმა მოციგურავემ შეძლო ოლიმპიური სამ-სამი ოქროს მედლის მოხვეჭა. ასეთ დიდ წარმატებას მიაღწიეს: გლას. ტუნბერგმა (ფინეთი) — 1924 წელს შამონიში, ივარ ბალანგრუდმა (ნორვეგია) — 1936 წელს გარმიშ-პარტენკირჩენში და ლეგენდარულმა იალმარ ანდერსენმა (ნორვეგია) — 1952 წელს ოსლოში. ხოლო მეოთხე სპორტსმენია ლ. სკობლიკოვა. 1964 წელს ინსბრუკში სწორედ მან მოხსნა მანამდე არსებული არაოფიციალური მსოფლიო რეკორდები—გაიმარჯვა ოთხივე დისტანციაზე და დაეუფლა ყველა ოქროს მედალს. სკობლიკოვას ეკუთვნის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეკორდი—ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მოხვეჭილი ოქროს მედლების რაოდენობის მიხედვით: მას აქვს დასაკუთრებული ყველაზე მეტი—6 ოქროს მედალი (2 — სკვო-ველიში, 4 — ინსბრუკში).

როგორც ცნობილია, აშშ-ის ოლიმპიელ მოცურავე ქალთა შეჯიბრებაში, რომელიც ამავე დროს ქვეყნის მორიგი ჩემპიონატი იყო, დ. მაიერმა 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვისას 800 მეტრზე 9.17,8 აჩვენა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მაგრამ ეს არ იყო ამ ტურნირის ერთადერთი მიღწევა. შეჯიბრებაში ძალას ცდიდა შვედი მორიხონიც, რომელმაც ევროპის რეკორდი გაუუმჯობესა — 9.45,0.

სურათზე: მაიერს წარმატებას ულოცავს ერთ-ერთი მსაჯი.

პირველი მეტოქე — მოსკოვის „დინამო“

მოსკოვი, 8 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გაგარინის სახელობის სამხედრო-საავიაციო აკადემიის რეგბისტებთან შეხვედრაში გამარჯვებით (9:6) თბილისის „ლოკომოტივმა“ ფინალის საგზური გაინაღდა. ამიტომაც ასპარეზობის შემდეგ გასახდელში ვინახულეთ მეტოქე გუნდების მწვრთნელები ნ. ტიმოშენკო და ნ. ყიფიანი, ასპარეზობის მსაჯი ლ. დანილოვი და ვთხოვეთ აზრი გამოეთქვა მატჩის ირგვლივ, მომავალი ფინალური ასპარეზობის შესახებ და მის მოსალოდნელ შედეგებზე.

ტიმოშენკო: „თბილისელებმა აშკარად დაგვჯაბნეს პირველ ნახევარში, მაგრამ ალბათ ბედის წყალობა იყო, რომ 3 ქულის მეტის მოპოვება ვერ შესძლეს. ამან ერთგვარად დაგვაიმედა. ჩვენმა ბიჭებმა მეორე ნახევარში სულ სხვა თამაში წამოიწყეს, თუმცა საბოლოოდ შარნც წავაგეთ. „ლოკომოტივი“ ძლიერი და ფიზიკურად კარგად მოამზადებული გუნდია, ვორონეჟში მას სულ ცოტა II ადგილის შანსი აქვს...“

ყიფიანი: „შედეგი არ შეეფერება მატჩის მსვლელობას, მაგრამ არ ვჩივით, ვინაიდან მთელი ბრძოლები ახლა ფინალში გველოდება. ჩვენი გეგმა ერთგვარად შეიცვლება იმ მიმართებით, რომ ფინალამდე ბიჭებმა, რაც შეიძლება მეტი დაისვენონ, ამიტომაც მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გუნდთან ძირითადი შემადგენლობით არ ვითამაშებთ. მატჩის შედეგს ფინალისთვის ბომ არაეითარი მნიშვნელობა არა აქვს“.

დანილოვი: „მე კმაყოფილი ვარ, ვინაიდან, თამაში იყო კორექტული და დაძაბული. გაიმარჯვა უძლიერესმა“.

გასულ შაბათს შედგა მოსკოვის ქვეჯგუფის მესამე ტურის მატჩები. „ლოკომოტივისა“ და უმაღლესი-ტექნიკური სასწავლებლის გუნდებისთვის ეს იყო თავისებური დაზვერვა. მოსკოველების ამოცანას შეადგენდა, რაც შეიძლება მაქსიმალურად დაეცვათ თავიანთი კარის მისადგომები და ამგვარ ბრძოლაში მოესინჯათ ფინალში მთავარი მეტოქის შესაძლებლობანი. რკინიგზელები კი ცდილობდნენ რაიმე ეფექტური საშუალება გამოენახათ სტუდენტების ცნობილი „მარაოს“ ნეიტრალიზებისთვის.

იმის მიუხედავად, რომ არც ერთი მხარე არ ცდილა ბრძოლაში მთელი არსენალის გამოჩენას, მატჩი საინტერესოდ მიმდინარეობდა და მოსკოველთა გამარჯვებით დამთავრდა — 26:9.

ჩემპიონატის ამ ნახევარფინალურ ჯგუფში ტურნირის დამთავრების შემდეგ სპეციალისტებმა ასპარეზობის საუკეთესო სპორტსმენებად აღიარეს ვ. სოლნცევი (ვვს), რომელმაც თანგუნდელებიდან ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა მეტოქეთა კარში, თბილისელი მ. კვინიხიძე და ლიდერი გუნდის წევრები ა. გრიგორიანცი და ვ. ანტონოვი.

ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე მოეწყო ფინალისტთა წილისყრა. 11 სექტემბერს, ვორონეჟში პირველ ტურში ითამაშებენ ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ და მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გუნდი, ხოლო თბილისის „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ გამოვა მოსკოვის „დინამო“.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ბადმინტონი. ქალაქის სპორტული დარბაზები (ტელმანის ქ. № 4, ბოჭორმის ქ. №8). **10-13 სექტემბერი. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა.** მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერესი სპორტსმენები. დასაწყისი 10 და 17 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 11042